ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასოფლო გაზეთი


გაზეთის ფასი:

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
| --- | --- | --- |
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება.
თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, სატისოვის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი:
Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и Ко)

№ 4 შაბათი — IV — 30 თებერვალი, 1871 წ.


## შინაარსი

— საუბარი მკითხველთან.—ლოჭინის სამეურნეო შკოლა.—საქონლის ჭირზე.—რამდენიმე ცნობა მკალიაზე. — აღაოს მომზადება. —სხვა და სხვა ამბები:—სამოსელო და სავაჭრო საზოგადოების გამართვა ოდესაში.—ცხვრების და თხების დართვა ერთმანეთზე.—ყველის საზოგადოების გამართვაზე რობინსკში და სხვა.—სანახშირე კაცონები.—ნარევი.—განცხადება.

## საუბარი მკითხველთან.

წელს ახირებული ზამთარი დაგვიდგა. იმდროს, როცა თოვლი და ყინვა უნდა ყოფილიყო, ასეთი ამინდები დაიწყო, რომ ზაფხული მოგვაგონა და რომელსაც გაზაფხულის სულმა მოატანა, ის იყო, ყოველი სულიერი და უსულო უნდა დაძრულიყო თავის საზამთრო ქერქიდგან, ბუნებამ უცბათ მოგვიჭირა ზამთრის მუხრუჭი, გამოუშვა თოვლ-ჭყაპი სუსხიანი დღეები და, მუშაობის ადრიანათ დაწყების მაგიერათ, შინ ცეცხლაპირს დაგვაგდო. სხვის იმედათ დარჩენამ ყოველთვის ასე იცის. თუ კაცი განსაკუთრებით ვისმეზე ხარ მინდობილი, როცა გგონია, ეს არის, ხელი წამოგიყარე, ბევრის გაჭირების შემდეგ ცხოვრების გზა — მადლობა იმ ჩემ ძმობილის, ან მფარველის შემწეობას — ფართოთ გავიკვლიე, მაშინ გისუსტებს და დაგაგდებსო ყოვლათ უნუგეშოთ. ეს იმასა-ჰგავს, რომ მგზავრი ერთი ადგილიდგან მეორე ადგილას ეშურებოდეს და გზაზე მდინარე დახვდეს გასასვლელი, იქვე მენავე დახვდეს, და უთხრას, ძმობილო, მე აქ იმისთვის ვარ, რომ შენისთანა მგზავრებს ხელი გაუმართო, ამ მდინარეზე გავიყვანო ხოლმე. — წარმოიდგინე, მკითხველო, რანაირის მადლობით და სიყვარულით მიეგებება მგზავრი მენავეს კეთილ-კაცობას. ჩაჯდა ნავში მგზავრი, მენავემაც მარჯვეთ დაჰკრა წყალს ნიჩბები, აი, კიდეც მიუახლოვდენ მეორე კიდეს— ღმერთმან დალოცოს შენი მარჯვენა — ამბობს გულში მგზავრი და ეშურება ნავიდგან გადმოსვლას, მაგრამ მენავე უცებ გადმოხტა თავის ნიჩბიანა, ჰკრა ფეხი ნავს და ისევ წყალში შეაცურა. მგზავრს არც ნიჩაბი აქვს და, რომ ჰქონდეს, მაინც რას იზამს, თუ მოხმარება არ იცის. წარმოიდგინე, მკითხველო მგზავრის მდგომარეობა!

***

ცხოვრებაში სხვის იმედათ ყოფნას ყოველთვის იმისთანა ბოლო აქვს, რაც მენავეს იმედათ დარჩენილს მგზავრს მოუვიდა. მგზავრს რომ ნიჩაბი წინათვე შენახული ჰქონოდა და ყმაწვილობიდგანვე ესწავლა იმის ხმარება, მენავეს ღალატს რათ შეუშინდებოდა. ახლა იმისთანა შენს მტერს, რაც იმას დაემართა: ნავი წყალში გადუბრუნდება და თვითონ ქვეშ მოექცევა.

***

მაშ მკთხველო, გაუჭირველი ცხოვრება იმისი ყოფილა, ვინც მხოლოდ თავის ჭკუისა და მკლავის მოიმედეთ არის დარჩენილი. აქედგან ორი დიდი მცნება უნდა გამოვიყვანოთ... სწავლით გზარდოთ ჭკუა და მუშაობით—მკლავი. მხოლოდ ეს ორია კაცის განუშორებელი მეგობარი, სხვას კი ყველას მახე უგია. კაცს რამდენათაც უფრო ჭკუა და მკლავი უჭირს, იმდენათ უფრო გაუჭირვებელია იმის ცხოვრება.

***

ახლა ჩვენ რომ თვალი გადავავლოთ ჩვენს მხარეს, მწუხარებით სული და გული დაგვეტანჯება, იმისთვის რომ ერთ კაცსაც ვერ დავინახავთ ისეთს, რომ მარტო თავის იმედით ცხოვრობდეს, ყოველი კაცი ვისმეს კუდზეა გამობმული, რომლიდგანაც რჩენას მოელის. შეხედეთ გლეხს, რომელიც მხოლოდ ცას შეჩერებია და თუ კარგი დარი დაუდგა, ყანაში გუთანს გაიტანს, თუ არა და უნდა იყოს ხელი-გულდაკრეფილი და შიმშილს მოელოდეს; შეხედეთ, აზნაურს ან თავადს, რომელიც შეჩერებია, მარტო თავის მიწის ბეგარას; თუ კარგი მოსავალი იქნა, ამბრები გაემსება, თუ არა და შიგ მხოლოდ თაგვება დახტიან, თვითონ კი ფერდებ მიკრული ლუკმა პურისთვის ნიადაგ თავის დაგირავებას მოელის. შეხედეთ ვაჭარს, რომელიც მაკარია-ში მიდის: თუ მაზანდა კარგი დაუდგა, თავს ირჩენს, თუ არა კოტრდება, წყალში ვარდება, ან გიჟდება; იმის ცოლშვილი კი აუტანელ გაჭირებისგამო ილუპებიან. შეხედეთ ჩინოვნიკს, თუ ადგილი აქვს, ხომ კარგი, მაგრამ ვინიცობა ადგილი რომ დაკარგოს, კისერზე ღვლეჭი უნდა მოიბას და წყალში გადავარდეს. ერთი სიტყვით ყოველი კაცი ჩვენში, რასაც მამაპაპიდგან მიჩვეულია, იმის იმედათ არის- მაგრამ ცოტათ ფეხი რომ გადაუბრუნდეს,—რაც სჩვევია ის საცხოვრებელი საშვალება დაეკარგოს, უსწავლელობის გამო და მრავალ ნაირ შრომის მიუჩვევლობის გამო, ყოველი ცხოვრების ღონის ძიება ეკარგება და უცბათ ჰქრება იმის სიცოცხლე. ამ სახით რადგან საკუთარი ცოდნის და შრომის იმედი არ გვაქვს, ყოველი ჩვენთაგანის

ცხოვრება მათზე ჭკვიდია და ხშირათ ვვარდებით იმ მდგომარეობაში, როგორშიაც ჩავარდა მგზავრი მენავეს იმედით დარჩენილი. მაშ წარმოიდგინეთ, მკითხველო, რამდენათ სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთვის იმ ამბის გაგონება, როდესაც გვეტყვიან ამა და ამა ალაგას სასწავლებელი იხსნება, ამასაც ასწავლიან — იმასაც, გონებასაც უხსნიან და სხვა და სხვა ხელობაშიაც სწვრთნიანო: ერთი სიტყვით ახალ გაზდობას ყმაწვილობიდგანვე აჩვევენ მრავალნაირს მოხერხებას თავისუფლათ ცხოვრებისთვის. მართლაც რომ ყოველი ამისთანა საქმე თითო დილის ვარსკვლავის მგზავსია, რომელიც თავისი ამოსვლით წინათვე გვაცნობებს, ღამე ჰქრებაო და დღე დგებაო.

სწორეთ ესევე გრძნობა გაგვიღვიძა გულში, როცა შევიტყეთ, რომ ახალციხის უეზდში ერთი კეთილ მოქმედი ქალი შკოლას ჰხსნისო და ყოველივე მზათა აქვს, რომ შაგირდები მოაგროვოს დ სწავლა დააწყებინოსო. ..—ხშირათ, ძმებო, ხშირათ გაგვაგონეთ თქვენს სამამასახლისოებში ამისთანა ამბავი. მხოლოდ შკოლების გამართვა დ შვილების რიგიანათ გაზდაა ნამდვილი ხელის გამწყობი საშუალება ჩვენი ახლანდელი გაჭირებული ცხოვრებისა.

## ლოჭინის სამეურნეო შკოლა

20 თებერვალს, სოფელს ლოჭინს (18 ვერსტის თფილისიდამ, კახეთში მიმავალ ფოჩტის გზაზედ გაიხსნა სამეურნეო სასწავლებელი. ამ სასწავლებლის გამართვის აზრი, და იმის ასრულება ეკუთვნის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას. მმართებლობის სიუხვით ამ სასწავლებელს აქვს, კარგათ მოწყობილი სადგომები მოწაფეებისთვის, მოსამსახურეთათვის, პატარა ლაბარატორი, კაბინეთი, და ორანჟერეია. საცა დამყარებულია მიწის შემუშავების სასწავლებელი, იქ კარგა ბლომათ არის სარწყავი მიწები, საბოსტნო ადგილები, სათიბები, საბაღე და სატყეო ამასთან უსაჭიროესი სამეურნეო, მოწყობილებანი, რომლებიც მოხერხებულათ და პრაქტიკულათ გაკეთებულია — ასე: სამეჯინიბო, ბოსელი, ჭიის გამოსაყვანი სადგომი, საქათმო, სალეწავი მანქანა და საზოგადოთ მანქანების ასაწყობი. მასწავლებლებათ არიან: აგრონომი ვ. ნ. გეევსკი, რომელიც ამასთანავე ჰმართავს სამოსწავლო ნაწილსაც, უ. ფივერი, რომელიც მართავს პრაქტიკულ სწავლას, და საოჯახო ნაწილს. საქონლის ექიმი მ. უ. დავიდოვი, და სწავლული მებაღე კნ. ციციშვილი. ზაფხულში ამ სასწავლებელს იმედი აქვს, აბრეშუმის მომყვანი უ. ბოღდანოვი—ტრეგულოვი მოუხმაროს, რომელიც ეხლა ტფილისში მუშაობს აბრეშუმის და აილანტის ჭიების გაზდაზე—ყმაწვილები 16 კაცი დღეს მიღებულია, მათ რიცხვში სამი თავის ხარჯით და თერთმეტი სახელმწიფო ხარჯით. ამ ყმაწვილთაგანნი შკოლის გახსნის დროს დაესწრნენ თერთმეტი. იმათგან უმეტესმა ნაწილმა იცის კითხვა და წერა და ცოტათ არიფმეტიკაც, ასე რომ მასწავლებლებს არ მოუნდებათ ბევრი დროს დაკარგვა, მათ პირველ დაწყებით სამეურნეო სწავლის გადასაცემათ თავიდგან. ყველა საოჯახო მუშაობას ხუტორში ასრულებენ თვითონ ყმაწვილები, რომელნიც ამნაირათ უფრო საფუძვლიან თ უახლოვდებიან თავის საგანს. მაგრამ ხუტორში (აგარაზე), არიან სხვა მუშებიც; იმისთვის, რომ, ამგვარათ ყმაწვილებს ხელით მუშაობა მომეტებული არ ექნებათ, რომ ამით ზეპირ სწავლაში მოცდენ. სრული პრაქტიკული სამუშავო რომ ჰქონდეთ ყმაწვილებს, ამისთვის ფიქრობენ, აგარაზე გამართონ საფეტკრე, სადურგლო, და ჩალის ნივთების საკეთებლათ მოწყობილობა. ამასთანავე ფიქრობენ, შეავსონ რიცხვი იარაღების და მოწყობილობისა, რომლითაც შეაიმჩნებს ჭაურის ცდილებს. და იმედი აქვთ შკოლასთან დაწესდება ჭაურის თვალყურის მიმგდები სადგომი. იმედია, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების, ნამდვილი წევრის ა. თ. მორიცის განათლებული შემწეობით ეს სადგომი მალე გამართონ.

შკოლის გახსნა დაიწყო პარაკლისით, და საშკოლო ხუტორის სახლების და სახოსტატოების კურთხევით. ამას შემდეგ სახელმწიფო მამულების სამართველოს უფროსი გენერალ-მაიორი — ასტაფიევი და ამას დეკანოზი ნიკიტ ბოგოლოვი მიუბრუნდენ ყმაწვილების სიტყვით, რომლითაც ცდილობდენ გაეღვიძებინათ ყმაწვილებში შრომის სიყვარული საზოგადოთ, და განსაკუთრებით მათგან ამორჩეული საგნისა.

ამის შემდეგ, თფილისიდან მისულმა სტუმრებმა დაათვალიერეს შკოლის სადგომი და სამუშავოები, დაესწრნენ პურის მაშინით ფქვას და განიავებას; მაშინებზე თითონ ყმაწვილები მუშაობდენ, რომელთაც ცოდნა გამოაჩინეს, მაგრამ ეს მაგდენათ გასაკვირველი არ არის, რადგანაც ის ყმაწვილები, ამის უწინაც სწავლობდენ პრაქტიკულათ. ლოჭინის ხუტორზედ. შკოლის კურთხევა ლოჭინოში გათავდა ცოტა ზაკუსკით.

ბევრს მოყვრებს და თანამგრძნობელებს შკოლის გამართვის დროს დასწრება დაუშალა ცუდმა ტაროსმა, რომელიც ოც თებერვალს იყო, ლოჭინოში. სტუმრები დარწმუნდენ, რომ რაც საშუალება მმართებლობას ამ შკოლისთვის მიუცია, იმითი ეს სამეურნეო სასწავლებელი კარგათ უნდა წავიდეს, და ღმერთმანც ჰქმნას, ასე იყოს, ამისთვის, რომ ამ სამეურნეო შკოლის კარგათ უოფნაზე ბევრი სასარგებლო საქმეები იქნება დამოკიდებული, მაგალითად საუკეთესო რიგზე მიწის მუშაობის გავრცელება.

## საქონლის ჭირზე

საქონლის ჭირი იმისთანა ავათმყოფობაა, რომელიც ძნელად მორჩება, და იმას მორჩენა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ეს ავათმყოფობა ახლად აქვს შეყრილი საქონელს. თუ საქონლის პატრონი კარგათ ყურს არ უდგებს, ეს ჭირი საშინლათ აცარიელებს ჯოგებს. ამისთვის როგორც კაცმა შეატყოს, საქონელს ამ ჭირით ავათმყოფობა, როდესაც ცივება ჯერ სუსტათ ექნება, და საქონელი არ იქნება შეწუხებული, მაშინვე, ხან დაუყოვნებლივ უნდა მოზდილ პირუტყვებს სისხლი გამოუშვას, ასე ხუთ გირვანქადან ექვსამდი და მის შემდეგ უნდა დაალევინოს არიგის წინაალმდეგი საშუალებაები,

რომელიც უნდა შესდგეს შემდეგი მასალებიდან, სამ-სამი მისხალი გოგირჯილას და ექვსი მისხალი ღვინის-მარილი, ეს უნდა გახდეს სამი მისხალი, ერიოს ერთმანერთში, და გადადუღდეს, ამასთანავე უნდა მოიხარშოს კანაფის თესლი და ქერი ყველა ერთმანერთში ერიოს და ბოთლებში ჩაასხას. ამისთანა წამალი დღეში სამჯერ ან ოთხჯერ უნდა ჩაასხას საქონელს პირში, თუ ვინიცობაა საქონელმა არ ქმნას მაშინ მალათ. ამასთანავე საქონელს უნდა გაუკეთდეს საპნით ოყნა და ზურგი უნდა დაეზილოს ერთი მუჭა თივით, დასაზდოთ გამთბარი გათქვეფილი ცოტა მარილის წყალში ქატო (ერთი რუმკა მჟაუნა და ერთი ვედრა გათქვეფილი ქატო ჟუროვა); ამას გარდა საქონელს გვერდები უნდა სკიპიდარით დაეზილოს, დღეში ორჯელ. ამისთანა აქიმობა ორ-სამ დღეს გასწევს, და თუ ამის მერე საქონელს უკეთ მყოფობა შეეტყოს, მაშინ ზემოთქმული წამლები (კანაფის თესლში მოხარშული) უნდა ეძლიოს საქონელს დღეში ორჯელ, ან სამჯელ. და თუ ვინიცობაა, ამ წამალმა არაფერი უშველოს, და საქონელი უფრო ავათ შეიქნეს, მაშინ ზემო თქმულ მარილებს (სელიტრას, ღვინის მარილს) ნახევარ-ნახევარი მისხალი უნდა მიემატოს ერთი წლის ხბორებისთვის საკმარისია ნახევარი იმ პარაშოკისა, რომელიც ეძლევათ დიდებს, და არც საჭიროა სისხლის გართმევა. ავათმყოფი საქონელი უნდა თბილ სახლში შეინახონ ასე, რომ ცივი ჰაერი არსიდგან მოხვდეს. როდესაც საქონელს მძიმედ გამრიელებული აქვს ავათმყოფობა, ესე იგი, მაშინ — როდესაც შეინიშნება მადის მოკლება, კვნესა და ფაღარათობა, იმას აქიმობა აღარა გაეწყობარა, და კარგათ მყოფი საქონლის ჭირისგან გადარჩენისთვის, ის მაშინვე უნდა მოიკლას და ტყავითვე მიწაში ჩაიფლას.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ სამხრეთ-რუსეთში, ჩინებულ საშუალებათ საქონლის ჭირის წინაამდეგ აღმოჩნდა ამ ჭირის აცრა. ეს ჭირი ისე უნდა აეცრას საქონელს, როგორც ჩვენ ყვავილს ვიჭრით. ამის გამოცდას ჩვენშიაც ფიქრობენ, და იმედი არის, რომ იმას ჩვენშიაც იმისთანა შედეგი ექნება, როგორც სამხრეთ რუსეთში და ეს ჭირი ჩვენ ჯოგებს არ შეასუსტებს, როგორც ახლა.

# რამდენიმე ცნობა მკალიაზე

მკალია, როგორც მოგეხსენებათ, სცხოვრობს უმეტეს ნაწილა ხმელ ადგილებში, და ერიდება კიდევაც წყლიან ადგილებს. თუმცა ხანდახან მოვა ხოლმე ამისთანა ადგილებშიდაც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ადგილები ლერწმით არის სავსე — ასე, რომ იმას წყალი ვერაფერს ავნებს; ამ გვარათვე ერიდება ის მთიან და ტყიან ადგილებს. კვერცხის დასადებათ, მკალია, ირჩევს სხვა და სხვა ადგილებს, უფრო ხშირათ ნოყიერ და დიდი ხნის შეუმუშავებელ მიწას. ის იზრდება მალიან სხვა და სხვა ფერი საჭმელებით, მაგრამ უფრო უყვარს ხორბლის მცენარე და ამ უკანასკნელიდან სიმინდი, ფეტვი, და ლერწამი უფრო მოსწონს.

დედალი მკალია როცა იპოვის შესაფერ ალაგს, მაშინვე უკანა ფეხებით ძირამდის მიწაში ჩაეფლება მაშინ მასი მუცლის რგოლები მალიან გძლათ გაიჭიმება, და ამითი აიხსნება, რომ მკალია თავის კვერცხს მიწაში ერთ-გოჯა ნახევარ სიღრმეზე სდებს. მასი კვერცხი ნამორსა ჰგავს, ორივე თავი დარგვალებული და მშვილდსავით მოხრილი აქვს ან და სწორე კვერცხები ერთმანერთზე გადაბმულია, ფისის მგზავსი ნივთიერებით, რომელსაც დედალი მკალია კვერცხებს თან გამოატანს ხოლმე; ამისთანა ნივთიერება, ერტყმის გარემემო კვერცხს, როგორც ზამაზკა, და აკეთებს ტომარას, რომელსაც მიეკვრება სილა, მიწა, და წვრილი ქვები, რომელნიც უკეთებენ კვერცხს კედელს გარეგანი მოვლინებაებისგან დასაცველათ. კვერცხების რიცხვი ტომარაში სხვა და სხვაა.. ზოგში ცოტა, ზოგში უფრო მეტი, ასე ორმოცდა-ათიდგან ასამდის იქნება. ზოგიერთი სწავლულები ფიქრობენ, რომ დედალი მკალია სამი თვის განმავლობაში სდებს კვერცხს თვეში ერთჯერ ორმოცდახუთ-ხუთს, — ასე, რომ სულერთიანათ რომ დავთვალოთ დედალი მკალიას დადებული კვერცხები იმ სამ თვეში 160—170-მდი გასწევს. ამას შემდეგ დედალი მკალია ჰკვდება.

ყველაზე უფრო საინტერესო დრო მკალიებისა არის ის დრო, როდესაც მკალიები გაემგზავრებიან როგორც ფეხით, ისე ფრენით.

მკალიები კვერცხებიდამ გამოძვრებიან თუ არა, მაშინვე გამოიჩენენ სურვილს ერთათ შეკრებისას. ამ მდგომარეობაში იმათ ეწოდება მატლი და მოძრაობა სრულებითაც არა აქვთ. როდესაც კანს იცვლიან, მოძრაობა მხოლოდ მაშინ ეტყობათ, ამდროს ალაგსაც მარდათ იცვლიან. ქვეითი მკალია, ერთი სწავლულის შენიშნვით, გაემგზავრებიან ხოლმე 7 საათზე დილით და დადის სადამოს ხუთ საათამდის; თუ დღე მალიან სიცხიანია, მკალია მომეტებულათ ჩქარა დადის. რაიცა შეეხება მიმართულებას, ანუ გზას, რომელსაც ქვეითი, ან მფრინავი მკალია მისდევს, ამაზედ ბევრნაირათ ფიქრობდენ. მაგალითათ, ზოგიერთები აჩვენებდენ, რომ მკალიებს წინაგრძნობა აქვთ და იმის შემწეობით წინ-და-წინ აღირჩევენ ერთს რომელსამე გზასა. მაგრამ ერთი სწავლული ამ აზრს ამტყუნებს და ამბობს, რომ მკალია მადის იქით, საიდაც თვალები უცქერიან: ადრე თუ გვიან, ის თავის მგზავრობაში უნდა შეხვდეს მოსავლით მდიდარს ქვეყანას. თუ ეს არ შეემთხვა, მაშინ ისინი იხოცებიან.

იმათ ფრინვის მიმართულებაზე ამასთანავე აქვს გავლენა ქარს და ზოგიერთის შენიშვნით მდინარების მიმდინარეობას.

მარტო შიმშილი არ არის, მკალიების ერთად მოძრაობის მიზეზი, ამისთვის რომ ის მალიან ხშირათ გადაივლის და არას აწყენს იმ ადგილებს, რომელნიც სავსე არიან საზრდოთი.

ფუთიანი მკალია ისე საფთხილო არ არის,

როგორც ქვეითი, ამისთვის რომ ფუთიანი მკალია იქ აოხრებს ყანებს სადაც ის შემთხვევით გაჩერდება, ამის მერმე იქ-ერთ ღამეს გაათევს და დილას, სხვა მეზობელ ყანებში კი არ გადავა, სადაც შეეძლება საშოვი საზრდო იშოვნოს, არა ის ადგება და გაფრინდება შორს სამგზავროთ. დიდი მკალია ნიადაგ მიბაძვით მოქმედებს. მკალიების მგზავრობაში მიბაძვას დიდი გავლენა აქვს. ეს იმითია დამტკიცებული, რომ მგზავრობას მკალიები ჯერ ცოტანი იწყებენ, მერე სხვები მიბაძვით და მოუთმენლათ, მისდევენ იმათ. სადამდის წასულა მკალია, ან განსაკუთრებით რა ადგილებზე იცის ცხოვრება, ამის გამოსაძიებლათ სწავლულები ასე კითხულობენ:

ა) მკალია თუ გაჩნდა სადაურია, ან რომელ ადგილიდგან მოსულია?

ბ) დიდ-დიდ გროვათ რომელიც სდებს კვერცხებს და მეორეწელს რომ მატლები გამოდიან, ის მკალიება- სადამდის მიფრინავენ?

გ) რა ქვეყნამდიო მიფრინავს ის მკალია, რომელიც კვერცხს არ სდებს?

დ) სამხრეთში და დასავლეთში რა სიშორეზე იპოება მკალია?

მკალიის საცხოვრებელი ალაგი მთელი სამხრეთი რუსეთია. იქ ის იჩდება და მრავლდება, მაშინ, როდესაც კარგი წელი დაუდგებათ; ზოგოს ისე მრავლდებიან, რომ ისინი იქ საზრდოს ვერ ჰპოებენ და ამისთვის მიუცილებელია სხვაგან გადასახლებას და მგზავრობას შეუდგეს მდიდარი ყანების ასაოხრებლათ. თუ მკალიების მრავლობის წელიწადები ზედისზედ მიჰყვა, მაშინ ის საშინლათ მრავლდება.

ამის მოსაკვეთი ღონისძიება ყველაზე საუკეთესო მათი კვერცხების მოკრეფაა; ეს მუშაობა შეუძლიანთ ქალებს და ბავშვებს თავისუფალ დროს, ხან-და-ხან მთელ ზამთარში, თუ ბევრი თოვლი არ მოვა მიწაზე ნახევარ მაისამდი. მაგრამ ამ ღონის ძიების მოხმარება ძნელია. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ეს ღონის ძიება არამც თუ სასარგებლოა, მალიან საზიანოც არის ოჯახობისთვისო. მკალია როგორც ზემოთ იყო შენიშნული სდებს კვერცხებს უფრო მეტად ქვიშიან ალაგას, ან სადაც დიდი ხნის გაშვებული მინდვრებია. თუ ამისთანა მიწა დახნა, იმაზედ რამოდენიმე წელიწადს ამოვა ისეთი ბალახი, რომელსაც პირუტყვი არა სჭამს.

ერთი სწავლული ამბობს, რომ დიდი იმედი მკალიისგან განთავისუფლებისა უნდა გვქონდესო ჭიების მჭამელ ფრინველებისგან, რომელთაც იტყუებს ხეები, და რადგანაც სამხრეთ რუსეთში ხეები მალიან ცოტათ არის ამისთვის ის ურჩევს მათ, რომ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ტყის გაშენებას მინდვრებში, თუმცა კი გამოტეხათ ლაპარაკობს, რომ რაც ბუნებას არ სჩვევია, იმის მოხდენა ძნელიაო.

თუ მკალია გაჩნდა სადმე; იმის მოსპობა შეუძლებელია; იმის მოსპობა მხოლოდ მაშინ შეეძლება კაცს, როცა ის კვერცხის დადებას იწყებს. ის საშვალებას, რომელსაც ყოველგან ხმარობენ, ესე იგი მკალიას შეშინება ზარებით და ზარბაზნების ხმაურობით, გამოუდეგარია ვთქვათ ხმა რომ კიდეც შეაშინოს მკალია გადაფრინდება მეზობლის ყანებში და იქ იწყებს აოხრებას.

ამისთვის ურჩევენ ერთ საშუალებას კალიების ამოსაწყვეტლათ. ეს საშუალება მდგომარეობს იმათ მატლების გაწყვეტაში. საშუალებანი, რომელსაც ხმარობენ სამხრეთ რუსეთში, აი ესენი არიან:

ა) მატლების დაწვა;

ბ) გაჭყლეტა ან რამე იარაღით, ან და საქონელს უნდა დაატკეპნინოს ის ალაგები, სადაც მკალია ბუდობს.

გ) რუების გათხრა, რომელშიაც მკალია შეირეკება.

დ) შეკრება ან დაჭერვა სხვა და სხვა იარაღის შემწეობით, და

ე) შინაური ღორების ან ფრინველების გარეკვა მინდვრებზე, სადაც მკალია იმყოფება.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ამ საშუალებებში არის მკალიის გაჭყლეტა მაშინვე როგორც ის კვერცხიდან გამოძვრება, ნიჩბით ცოცხებით და განსაკუთრებით დიდი ფოცხლებიანი ქვის გორვებით; ამ უკანასკნელი იარაღის ხმარება ყველას სჯობია.

ის სწავლული კაცი, რომელსაც მრიელ ყურადღებით გაუშინჯავს ყველა ზემოხსენებული საშუალებები მკალიას გასაწყვეტათ, კითხულობს, შეიძლებაო თუ არა, რომ სამხრეთ რუსეთში ეხლა ეს მავნე ჭია გაწყვიტოს კაცმაო? ვარანცოვმა, რომელიც დიდ ხანს იყო ნოვო-როსიის მმართველი ამაში მალიან ეჭვი გამოაცხადა. ზემოხსენებული სწავლულის აზრით, რადგან სამხრეთის რუსეთში ბევრი ვერანი ალაგებია და მცხოვრებნი კი ცოტა, ამისთვის მკალიის გაწყვეტა იქ მართლაც შეუძლებელიაო.

მმერი მოქმედებს საზოგადო მტრის გასაწყვეტათ ბევრს საქმეს იხამს, მაგალითად, ნემეცის კალონიაში, სადაც ამჟამათ მალიან გამრავლდა, ერთობრივმა მოქმედებამ მომეტებულათ შეამცირა იმისგან ვნება, მაგრამ, აქ ესეც უნდა მივიღოთ მხედველობაში რომ აქ მცხოვრებლები მალიან გამრავლებულები არიან და სადაც მკალია უმეტეს ნაწილათ სდებს კვერცხებს, იქ მალიან ცოტაა; ამის გამო მკალიას გაწყვეტა კალონიის მიწაზე უფრო ძნელია, ვინემც, დიდ მამულებში, სადაც ორმოც და ათი ანუ მეტი დესეტინები ერთ მანძილზეა გაშლილი. მაშ ამ ადგილებზე მოსპობა მკალიის რიცხვისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იქაური მცხოვრებლები გამრავლდებიან, და როცა მინდვრებში უფრო ხშირი ოჯახობა გაიმართება.

მკალიის მართლადაც გასაწყვეტათ ეხლანდელ მდგომარეობაში, საჭიროა რომ ის საქმე მოვიხმაროთ. ზემოხსენებული სწავლულის აზრით მკალიას მხმარებს რომ საზრდოთ დაუწყონ, ამაზე უკეთესი გასაწყობი საშუალება არ შეიძლება; უშინჯავთ კიდეც უკანა ფეხების შეწვა და ჭამა, მაგრამ ამის იმედათ თუ დავრჩით, მკალიის გაწყვეტას არა ეშველება; ამიტომ რომ ჩვეულება სჯულით უმეტესია. რასაც ერი არ ყოფილა ნაჩვევი, იმის შეჩვევა ერთობ ძნელია.

მართებლობის შემწეობა მკალიის გაწყვეტაში შეიძლება ამნაირათ, 1) დარიგება და წაქეზება მკალიის გასაწყვეტათ. 2) მატერიალური შემწეობა. 3) ვალდებული მუშაობის დაწესებანი მკალიის გასაწყვეტათ და 4) ვალდებული მუშაობის ნაცვლათ ფულების მოკრეფა.

ბოლოს, მკალიისაგან ზარალის მიცემის შესახებ მმართებლობის და საზოგადოების დონისძიება მდგომარეობს იმაში, რომ მკალიას შემოიღოს სახალხო საკვებათ იმ ადგილებში, სადაც მკალიას გაუოხრებია, გამოზომოს, თუ რამდენი ზარალი მიეცათ კერძო პირებს, მათ დასაჯილდოებლათ. ერთი ყველაზედ უფრო ჭეშმარიტი დონისძიება, დასაჯილდოებლათ იქნებოდა ყანების სტრახში შეტანა. ესე იგი მკალიამ რომ ყანები გააფუჭოს, მმართებლობამ უნდა გადაიხადოს და ამისთვის ყოველმა მიწის მუშამ ყოველ წლობით ცოტა რამე გადასახადი უნდა აძლიოს მმართებლობას, ან თემს. ეს დონისძიება ყველაზედ უფრო უახლოვდება იმ დონისძიებას რომელიც იწყებს ყანების სტრახში შეტანის, სეტყვისგან დასაცველათ. თუ რამე დაბრკოლება ატყდა ამ კანონის დასადებათ, თუ მას უნდა ჰკითხოს და, როგორც ის გადაწყვეტს, ისე მოიქცენ.

მაგრამ ეს აზრი, რომელიც პირველ ამ ოცდაათის წლის წინად გამოითქვა, ვერ ასრულდება ჩქარა. ამისთვის საჭიროა, რომ ახლა დაწესებული იყოს, საკუთარი სტრახავოი ჯარიმამ კალიისაგან მოტანილ ზარალის დასაჯილდოებლად; ამისთანა ხარჯის მოკრებაც შეიძლება მოხერხდეს ისე რომ ყველა კარგ მოსავლიან მიწიდან აიღონ კალიიდან მოტანილი ზარალი ან შეთანასწორებული მოსავლის ნაწილი.

## ალაოს (солодъ) მომზადება.

უჭელა პურის მცენარების სახამებელს შეუძლია იქცეს შაქრათ სხვა და სხვა საშუალებით. ბუნებაში ეს ხდება, როგორც ზევით ვსთქვით, მაშინ, როცა ხვარბალი ამოდის. თვითეულ წაუმხთარ ხვარბალში არიან ყველა ის ნივთიერებანი, რომლებიც კი საჭირო არიან ახალი ამოსული მცენარის საზრდოთ. მაგრამ რადგანაც სახამებელს ისეთი თვისება აქვს, რომ არ იხსნება მცენარის წვენში, და მაშასადამე ახალ ამოსულს და ნაზ მცენარეში არ შედის პირდა-პირ, ის ცოტ-ცოტად იქცევა შაქრათ, რომელიც შეადგენს თავდა-პირველად მცენარის უმთავრეს საზრდოს. მაშინ კი როცა მცენარეს მთელი ხვარბლის საზრდო გამოულევა, ის ცდილობს მალე წამოიზარდოს, რომ მიიღოს საზრდო ფესვების მარლევებით მიწიდგან და ფოთლებით აპეროდგან ღერიდგან.

ხელოვნებით ხვარბალში მყოფი სახამებლის შაქრათ ქცევა შეიძლება ამნაირათ: პირველათ ჩაყრიან ხოლმე წყლიან ჭურჭელში ხვარბალს და დაასცლიან ორს ანუ სამს დღეს, მაგრამ წყალს კი ყოველ დღეს უცვლიან. უკეთუ შენიშვნენ 36—48 საათის შემდეგ, რომ ხვარბალი ამოსვლას იწყებს, მაშინ ამოიღებენ იმას და დაყრიან მკაკლებად. ამასთანავე ცდილობენ, რომ ხვარბალი მლიერ დატენილი არ იქმნეს ერთმანერთზე და ხანდისხან კიდეც აურევენ, რომ ძრიელ არ შეხურდეს და მალე არ ამოვიდეს. როცა შენიშვნენ‘ რომ თითქმის ყველა ხვარბლებმა გაისხა ფესვები — ამოვიდა, მაშინ აიღებენ იმათ და გააშრობენ ან მზეში და ან კიდე ცეცხლით, ესე იგი, გაუყრიან ხოლმე რასმეზე და ქვემოდგან შეუნთებენ ცეცხლს, რომ მისმა კომლმა და სიმხურვალემ გააშროს იგი. მხოლოდ უნდა ეცადონ, რომ პირველათ სითფო უფრო ზომიერათ იყოს, შემდგომ კი შეიძლება მიუმატონ. უკეთუ ეს სიფრთხილე არ იხმარეს, ალაო ისე წახდება რომ არაფრათ აღარ ივარგებს. შემდგომ გაშრობისა დაფქვენ იმას. აი, ეს იქმნება ალაო (სოლოდი,) რომლის მოხმარებას ჩვენ დავინახავთ ქვემოთ.

**პივას დუღილი, ძმარის მომზადება და ცხობა,**

პივას სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა-და სხვა ნაირად ამზადებენ საუკეთესოდ ბავარულ მომზადებას სთვლიანდა ამ გვარად მომზადებულ პივას აჯობინებენ სასიამოვნო გემოთი ყველა სხვას. ამიტომ ჩვენ აგვწერთ აქ მარტო ბავარულ პივის მომზადებას,

ბავარიაში ამზადებენ პივას ამ გვარათ: პირველათ ჩაასხმენ საალაო კასრებში, რამდენიც საჭიროა, იმდენ ცივ წყალს. კასრებს ჩვეულებრივ აკეთებენ ქორჩიანი ხისაგან (*лиственницы*), ფორმით გვრალს ანუ ოთხკუთხოვანებს. სიდიდით არიან ისინი ორჯელ მეტი იმ კასრებზე, რომლებშიდაც შემდგომ უნდა მოისარშოს ალაო. ამას გარდა იმათ აქვთ ორი ძირი ერთმანეთზე დაახლოვებული, რომლებთაგან ზევითი არის საპილენძის, და აქვს მრავალი ნახვრეტები, ისე რომ ცხრილის მაგიერობა შეუძლია. წყალში ჩაყრიან ხოლმე დაფქვულ ალაოს, მოურევენ იმას კარგად და დაანებებენ თავს რამდენიმე ხანს. ამ შრომას ქვია სოლოდის გალესა. ამ პროცესის დროს თფება წყალი კასრებში, და იმათგან გადააქვთ ის საალაო კასრებში სანამ იმათში (პირველ კასრებში) სითფო არ ავა 36° გრადუსამდის. იმ სოლოდს, რომელიც არის კასრებში ურევენ ამ დროს მუხის ნიჩბებით. ამას ქვია სოლოდის გახსნა. მაშინ, როცა სითფო ავა ამ დროს, 36° გრადუსამდი, მაშინ ამოიღებენ კასრებიდგან სოლოდს, რომელსაც თითქმის ხმარებული წყლის ნახევრამდის აქვს შესმული, სხვა ჭურჭელში და ხარშვენ $3/4$—$1/2$ საათამდის. ნახარშ სოლოდს გადაასხმენ უბრალო არევის დროს საალაო კასრებში და იმათგან ხელ-ახლა უკანვე უწინდელ ჭურჭლებში, რომლებშიდაც უკანასკნელი ტკბილი (*сусло*) თბება 75—80° გრადუსამდის. შემდგომ ურევენ კიდევ $1/4$ საათის განმავლობაში და ბოლოს დაასცლიან იმას 1—$1\,1/2$ საათამდის თავ დახურულ კასრებში. რამდენიმე ხნის შემდეგ გადაუშვებენ სითხეს ონკანით კასრებიდგა სხვები რომელნიც არიან მიდგმულნი კასრებთან ამ გადმოსხმულ სითხეს კასრებიდგან ქვია ტკბილი. შემდგომ ამისა ტკბილს ჩაასხმენ ქვაბებში, სადაც ჩასდებენ ეგრეთვე რამდენიც საჭირო იმდენ ხანს [illegible] საათამდის. ამ ხარშვის დროს სვია აძლევს პივას სასიამოვნო მწარე გემოს.

გალესვის დროს ხდება შემდეგი მოვლენა: ის ნაწილი სახამებლისა, რომელსაც სოლოდში ვერ მოუსწრია შაქრად ქცევა. ამ დროს სრულებით გადაიქცევა შაქრათ.

შეცვლილი წებოვანას, რომელსაც დიასტაზი ქვიან (ეს ჩნდება ამოსულ ხვარბალში) და სითფოს (36—75° დის) გავლენით სახამებელი იქცევა კამედად, კამედი კიდევ-ყურძნის შაქრად. რამდენსაც უფრო ხერხიანად ლეხენ წყალში სოლოდს და რამდენსაც უფრო დიდხანს დაასცლიან იმას ძრიელ სითფოში (75° გრად.), იმდენათ უფრო ბევრი შაქარი შესდგება სახამებლიდგან, მაგრამ რადგანაც შემდგომ გადმოსხმისა, სქელ გახსნილ სოლოდში კიდევ რჩება რამდენიმე გაუხსნელი ნივთიერება, ამისთვის იმას ხელ-ახლა დაასხმენ მდუღარე წყალს და დაასცლიან $1/2$ საათს ხელ-უხლებლად; შემდგომ გადმოასხმენ, როგორც პირველ ტკბილს ისე ამ მეორე ტკბილს ხარშვენ ეგრეთვე სვიათი და, თუკი უნდათ, რომ იმიდგან გააკეთონ მდაბა-

ლი რიგის პივა, მას მიუმატებენ რამდენსამე პირველ ტკბილს.

ამის შემდეგ გააციებენ ტკბილს ხის ანუ სპილენძის ჭურჭლებში. კარგა გაციებულ ტკბილს ჩაასხმენ სადუღებელ კასრებში, რომლებიც დგანან ცალკე; აქ იმას შეურევენ ხაშს და მაშინ დაიწყებს დუღილს. ის მაშინ უფრო კარგა იდუღებს, თუ სადუღებელ კასრებში სითფო 10—14° ზევით არ ადის. დუღილი უნდა გაგრძელდეს 5—8 დღემდის, შემდგომ, როცა ტკბილი დაიწმინდება, იმას გადაასხმენ ბოჭკებში და ჩაადგმენ სარდაფებში; მაგრამ ბოჭკები არ უნდა აავსონ თავამდი, ამიტომ რომ პივა კიდევ დუღს ბოჭკებში, თუმცა კი სუსტად. დიდი მნიშვნელობა აქვს ეგრეთვე ბოჭკების მაგრათ თავის დაცმას: ამაზედ არის დამოკიდებული პივის ძალა და გემო.

ტკბილის დუღილის დროს, უმეტესი ნაწილი იმ შაქრისა, რომელიც მასშია, იქცევა სპირტად და ნახშირ-მმარად. სპირტი ყოველთვის რჩება ხოლმე პივაში, ნახშირ-მმარად კი გაჩნდება თუ არ უმეტესად ქრება ჰაერში. ნახშირ-მმარის მოშორებას პივადგან გვიჩვენებს ის ბუშტები, რომლებსაც ისვრის მაღლა პივა, რამდენათაც უფრო მაგარია პივა და რამდენათაც მომეტებულ შაქარს იპყრობს იგი, იმოდენათ უფრო ბევრი არის იმაში სპირტი და ძლებითაც უფრო ბევრსა სძლებს. გამაგრილებელი და მჟუშხავი გემო პივისა წარმოდგება ნახშირ-მმარისაგან, რომელიც ჩნდება თითქმის სულ შემდეგ, როცა პივას ბოთლებში ჩაასხმენ. თავ დაუცმელი ბოთლით რომ პივა დავტოვოთ რამდენსამე ხანს, იმას მოშორდება ნახშირ-მმარა და გახდება უგემური და ბოლოს დამჟავდება, იმ გვარ სასმელებს, როგორიც არის მაგ. პივა, ბავარიის, ზელტერის წყალი და სხვა.— მოჰრდება ნახშირ-მმარა, რომელიც არის აგრეთვე, გაზი რომელიც ჩნდება შეშის და ნახშირების წვის დროს. წმინდა ნახშირ-მმარა საშინელი საწამლავი გაზია, შერეული კი როგორც მაგალ. სასმელებში შეიძლება უვნებელათ მიიღოს კაცმა. იმ სარდაფებში, სადაც ინახვენ სასმელებს, რომლებიც დუღან და სადაც ჰაერი არ ჩადის თავისუფლათ, არ უნდა დაჰყოს კაცმა დიდიხანი, ამიტომ რომ აქ ნახშირ-მმარა ყლაპვით შეიძლება მოუვიდეს კაცს თავბრუ, გულის ყრა და მოკვდეს კიდევაც.

როგორც პივა, ისე დუღილით მზადდებიან სხვა სპირტიანი სასმელები: ღვინოს აკეთებენ, მაგალით. ყურძნის შაქრისაგან; რომს შაქრის ლერწმის შაქრის წვენისგან; არაყს—ბრინჯისაგან, თაფლის სასმელს—ფუტკრის თაფლისაგან, არაყს სხვა და სხვა პურის მცენარებიდგან, განსაკუთრებით დიკისაგან და კარტოფილიდგან და სხვ. ამ უკანასკნელ სასმელებს დუღილს გარდა რასაკვირველია გამოხდაც უნდა.

ყველა ზევით მოხსენებულ სასმელებიდგან შეიძლება გამოხთის გამეორებით მიიღოს კაცმა წმინდა ღვინის სპირტი, რომელშიდაც ძრიელ ცოტა იქმნება წყალი. ეგრეთი სპირტი, ცოტა რომ დალიოს კაცმა მაინც ისე იმუშავებს, როგორც ძრიელი საწამლავი. ყველა სპირტიანი სასმელები, თუკი ზომიერათ იხმარებენ არგებს კაცს, და სანდის ხან ისე მოუხთება, როგორც წამალი; უზომოთ ხმარება კი აჩენს სხვა და სხვა სნეულებას: კუჭის სისუსტეს, წყალ მანკს, მუსკულების სისუსტეს და თითქმის ცხელებასაც. კარგი პივა კი უფრო მრთელი და მარჩენელია (რასაკვირველია ამასაც ზომიერათ უნდა ხმარება), ვიდრე სხვა სასმელები, ამიტომ რომ იმაში ცოტა სპირტს გარდა, არიან კიდევ სხვა იმისთანა ნივთიერებაები, რომლებიც საჭირო არიან ჩვენი სხეულისათვის.

პივა მჟავდება, როგორც ვიცით, უკეთუ რაიმე შეცთომილება მოხთა მის მომზადების დროს და ან თუ კიდევ დიდხანს დარჩა იგი თფილ ადგილას; ეგრეთვე შეიძლება დამჟავდნენ სხვა სპირტიანი სასმელებიც, ესე იგი იმათი სპირტი დამჟავდება ჰაერის გავლენით და გადიქცევა ძმრათ. ის ძმრები, რომლებსაც ცხოვრებაში ხმარობენ კეთდება ღვინის, პივის ანუ დაბალი ოტკისაგან, ეს ძმარი შეერთებული წყალია და ძმარის სიმჟავის მეტი კი არაფერია. უწინ ძმარს მართლაც აკეთებდნენ მოხსენებული ნივთიერებიდგან, მაგრამ ამას დიდი ხანი უნდებოდა; ეხლა კი ძმარს უფრო საჩქარო საშუალებით ამზადებენ, რომელიც 1823-წ: გამოიგონეს. ეს საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ სპირტს შაურევენ წყალს და ამოქმედებენ მათზე ჰაერს.

ხაშს (საფუვარს) დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რომ სპირტის და სხვა სასმელების მოსამზადებლათ, ისე პურის ცხობაში.

როცა პურის გამოცხობა უნდათ, მაშინ, პირველათ დაასხმენ ფქვილს ცხელ წყალს და, როცა მოზელენ, მაშინ მიუმატებენ მას ხაშს. შემდგომ დადგმენ იმას თფილ ადგილ და დახურვენ ტილოთი, აქ ცომი დაიწყებს ფუებას. ეს აფუება წარმოსდგება შაქრისაგან, რომელიც არის, როგორც ზევითა ვსთქვით, ფქვილში. ნახშირ-მმარა, რომელიც ჩნდება ამ დროს ცომში ვერ ამოდის მისგან ადვილათ, რადგანაც ცომი მწებავი არის. ამისთვის ნახშირ-მმარა იწევს, ბერავს ცომს და ამოდის დიდ და პატარა ბუშტებად. ცომი ისთე თხელდება ამ დროს, რომ შემდგომ საჭიროდ ხდება კიდევ ფქვილის მიმატება. შემდგომ ცომს აძლევენ ... იმ ფორმას, რისაც გამოცხობა სურთ, ესე იგი, ან დიდი პურისას, ან ნაზუქისას, ან გომაჯისას და სხვა. და მისთვის, რომ ცომი სრულებით გაფუვდეს სტოვებენ მას კიდევ სითფოში რამდენიმე ხანს. ბოლოს, როცა გაფუვდება; რამდენათაც საჭიროა, შეაწყობენ ფურნეში გამოსაცხობათ. გაფუების დროს ბუშტების გამოსვლა ხდის პურს უმარღოდ, ამჩატებს და ადიდებს. უკეთუ არ გააფუვეს ცომი, მაშინ არც ბუშტები გამოჩნდებიან, და პური ამისგამო იქმნება მჭიდრო, მძიმე და ძნელი მოსანელებელი. ზოგიერთ ქვეყნებში ხაშის მაგიერათ ხმარობენ მჟავე ცომს, რომელსაც შეურევენ ხოლმე ახალ მოზელილ ცომს, რომ გაფუვდეს-იგი. ხანდისხან ცომს აცხობენ ხოლმე უხაშოთ, ამ გვარათ აკეთებენ მაგ. სუხარს. ამისთანავე იმას აშრობენ ხოლმე, და ამიტომ ის არ ხდება და ძრიელ დიდხანსა სძლებს.

---

## სხვა და სხვა ამბები

— ოდესაში დაწესდა წელს სამოხელო და სავაჭრო ამხანაგობა პურის საფქვავის, სპირტის სახდელათ, ორთქლის წისქვილის დასაფუძნებლათ და საპუჭკვებლათ. ამ ამხანაგობას აზრათ აქვს წისქვილის ნამუშავ რით ვაჭრობის გამართვა შორ ადმოსავლეთთან არხების შემწეობით რაც სპირტის ხდიდგან და პურის ფქვილიდან თხლე დარჩება, იმით ამხანაგობა ფიქრობს საქონლის გასუქებას, ამისთვის ამხანაგობას აძლევენ ნებას ოდესის ახლო, ანუ სადაც უფრო ასარგებლოთ დაინახავს ამხანაგობა, ზემო თქმულ მიზნისთვის აირჩიოს ერთი ნაჭერი ადგილი. ამხანაგობის წესდება, როგორც გაზეთები გვაცნობებენ, კიდევაც დამტკიცებულა.

* *
*

— მოსკოვის საქონლის გასაუმჯობესებელს საზოგადოებას შეუდგენია აზრი ი

გაზრახვით, რომ რუსეთში გაავრცელოს ყველა სასარგებლო შინაური საქონლის ჯიში. ამ საქმისათვის საზოგადოება აკეთებს, მოსკოვსა, და სხვა და სხვა ადგილებში სამაგალითო ჯიშის ფერმებს, საქონლისა და სხვა წვრილ პირუტყვების გასავრცელებლათ.

* *
*

— სამხრეთ ამერიკაში, ჩილიის რესპუბლიკაში, დაიწყეს ცხვრების და თხების დართვა ერთმანეთზე. ამგვარათ ამათგან გამოსულ ახალი ჯიშის თხა-ცხვარს, მრიელ ძვირფასი მატყლი აქვს. მისი ხორციც უფრო გემრიელიაო, ვინემ ცხვრებისაო, რძესაც ბლომათ და კარგი გემოსას იწველისო. ამ შინაური საქონლის ახალი ჯიშის მოშენება და გავრცელება მოუმატებდა შემოსავალს გლეხკაცობას.

* *
*

სადაც კი ჭავა აიტანს, იქ აბრეშუმის მოყვანის დაწყება მიუცილებლათ იქნებოდა, მეტად სასარგებლო ოჯახობისთვის. იმ ალაგებში გლეხ-კაცს გაზაფხულზე საკმაოთ თავისუფალი დრო აქვს ჭიების ასაზრდელათ, როგორც ამას შვრებიან ზოგიერთ კოლონიებში, სადაც ყველა მცხოვრებლებს ერთათ გამოყავთ აბრეშუმი, და წელიწადში დიდ ფულისას ჰყიდიან. რასაკვირველია, ჩვენშიდაც, რომ ამნაირი მუშაობა დაიწყონ დიდი საშუალება იქნება აბრეშუმის მოყვანის გასავრცელებლათ.

* *
*

— 1870 წელში რიბინსკის უეზდში გახსნილა ორი ყველის საკეთებელი შენობა. ეს ორივე აუშენებიათ კერძო პირებს და მერე გადაუციათ სასოფლო საზოგადოებისთვის. ამ საზოგადოებას უნდა ეძლიათ მათვის შემოსავლიდან ხუთი პროცენტი და რაც ფული დახარჯულია შენობების გასაკეთებლათ იმასაც ხუთი. სულ მათი პროცენტი ამ ორივე ყველის ამოსაყვანი შენობებში ამზადებენ ყველს, ისე როგორც ჰოლანდიაში. ამ შენობებისთვის მუშაობა მრიელ კარგათ მიდის, ასე, რომ ყველა ხარჯს გარდა ფუთ რძეში ორი აბაზი მოგება რჩებათ. თუმცა ეს შენობები ძალიან ცოტა ხანია, რაც არსებობენ იქ, მაგრამ, ორივე სოფელში საქონელმა ძალიან მოიმატა. ამისთვის რიბინსკის ერობამ გამოაცხადა რომ ფულს ვასესხებთო ამ გვარ შენობების გასამართავათ ყველა სოფლებს, რომელნიც ისურვებენ იმის გაკეთებასო.

* *
*

— ყველამ იცის, რომ დაღალულ გაოფლებულ ცხენს, წყალი არ დაელევა. ვინც არ გაუფრთხილდება და დაღალულზე ამსევს უმეტეს ნაწილათ ცხენებს ქუშიც ემართებათ და კიდეც იბერებიან. ეს გაბერვა უფრო მალე ფეხებზე გამოაჩნდება. დაღალულზე წყალ დალეული ცხენი თითქმის ვეღარ დადის და თითქოს დავარდნას აპირობსო. იამშჩიკები ყოველ დროს რბენით გახურქილ ცხენებს ასმევენ წყალს დამაშინვე ქერს აძლევენ. ამის გამო ცხენებს ზიანი არა მოდით რა. ზოგიერთებს ეს ძალიან აკვირვებდათ, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ცხენს შელოცვა უნდაო და მერმე კი არარა უჭირსრაო, მაგრამ ეს სულ ცრუ აზრებია. ეს არის მხოლოთ მიჩვევისგან, როგორც მიაჩვევ კვიცს ისე იქნება. მაგალითად, კაზანის ცხენები, რომ დილიდან საღამომდის არბენინო და საღამოს წყალი და ქერი მისცე არა უშავსრა, მაშინ როდესაც განაზებულ ცხენებს რომ ასე უყოთ ერთი კვირე ვერ გასძლებენ.

## სანახშირე ვაცონები

პირველად ეგმენ შეშიდგან დიდროვან ზვინებს, რომლებსაც უტოვებენ პატარა პირებს ჭაერის ჩასავლათ, სხვაგან კი ყოველგან მიწით შამოფავისვენ. მერმეთ შაუნთებენ ცეცხლს და ამგვარათ შეშები ირუჯება ნელ-ნელად და ბოლოს რჩება მრიელ კარგი ნახშირი, ამიტომა, რომ წვის დროს ყველა ურგები ნივთიერები ადიან ჭაერში ჭაერგვარისა და ოშხივარის ფრად. ასი ნაწილი შეშიდგან რჩება 60 ნაწილი ნახშირად, რასაკვირველია მხოლოდ მაშინ, როცა ხმელ შეშას ხმარობენ. ნედლი შეშიდგან კი მარტო 14 ნაწილი რჩება ნახშირად 100 ნაწილი შეშიდგან. ეს ამიტომ, რომ წყალი, რომელიც არის ნედლ შეშაში, ბევრს სითბოს ინდომებს, როგორც ზევითა ვსთქვით, გამოსაშრობად.

### მცენარების ნაცარი, ნაცარტუტი და კალაქვა (*поташъ*)

მცენარე რომ დავსწვათ, იმას დარჩება ყოველთვის ნაცარი; ის არის შემდგარი სამი ნაწილებისაგან, რომლებიც მიუღია მცენარეს ფესვებით მიწისაგან. ნაცარში არიან სხვა და-სხვა ნივთიერებანი. იმას რომ წყალი დავასხათ, ის მოაშორებს იმას ზოგიერთ ნივთიერებებს, რომლებიც იხსნებიან წყალში, სხვები კი დაიელევენ ძირს. წყალი მიიღებს მაშინ საკუთარს გემოს და ამას ჰქვია ნაცარ-ტუტი. ნალექი შეიძლება იხმარონ მიწის სასუქათ. ნაცარ-ტუტი იხმარება სარეცხად, საპონის და კალაქვის მოსამზადებლად.

* *
*

კალაქვა არის შემდგარი ორი შეერთებული ნივთიერებაებიდგან: კალისა და ნახშირის ძმარისაგან, იმ ნახშირ-ძმარისგან, რომელიც ეცლება მცენარეს წვის დროს, და ყურძნის წვენს დუღილის დროს. ნაცარ-ტუტს, ანუ კალაქვას რომ ძმარი ან სხვა რომელიმე სიმჟავე დავასხათ, ის მაშინ დაიწყებს შიშინს და იმას მოცილდება ნახშირ-ძმარა. ნაცარ-ტუტი და უწყლო კირი რომ ერთათ

მოკხარშოთ, ნახშირ-მჟავა შეერთდება კირთან და შეადგენს ნახშირ-მჟავა-კირს. კალი კი რჩება თავისუფლად, ამ დროს ნაცარ-ტუტე მიიცემს მჟავე გემოს.

ნაცარ-ტუტე რომ ადუღონ იქამდის, სანამ წყალი სრულებით არ ამოშრება ქვაბში, მაშინ მიიღებენ ასრეთ წოდებულ მოუმზადებელ კალაქვას. ზოგიერთ მცენარის ნაცარში ბევრი არის კალაქვა, ზოგიერთში კი ნაკლებია. წიფლის ხის ნაცრიდგან მაგ. უფრო ბევრი მზადდება კალაქვა, ვიდრე არყის ხის ნაცრიდგან. საზოგადოთ ლუისიან ხეების ნაცარში, ესე იგი ნაძვისა და სხვ. უფრო ცოტა ვიდრე ფოთლოვან ხეების ნაცარში. იმ ქვეყნებში სადაც ტყეები ბევრი არიან კალაქვის მომზადებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან.

კალაქვას უმეტესად ხმარობენ შუშის მოსამზადებლად, რომელსაც აკეთებენ შაბის ქვიშისაგან და კალა ქვასაგან კალის და მატყებით. კალაქვას რომ უწყებული ზომა ქონი მიუმატოთ და მოხარშოთ, მაშინ მიიღებენ საპონს; ამიტომ ბევრი კალაქვა მიდის საპონის მოსამზადებლათ. თუ უნდათ, რომ მაგარი საპონი გამოვიდეს, იმას უმატებენ მაშინ სხვა-და-სხვა მარილებს. ცხოვრებაში უმეტესად ხმარობენ ნატრის საპონს, ესე იგი ისეთ საპონს, რომლის მოსამზადებლათ კალაქვის მაგიერათ ნახშირმჟავის ნატრის ხმარობენ. მაგარ საპნებს ჩვეულებრივ უმატებენ ძოქორის ზეთს, ზეითუნის ზეთს და სხვათა; მბილ საპნებს კი უმატებენ სელის, ანუ კანაფის ზეთს, და თევზის ქონს. იქიდგან თუ რამდენი საპონი მზადდება და იხარჯება რომელიმე მხარეში შეიძლება გამოიცნას კაცმა რამდენათ განათლებულნი არიან იმ ქვეყნის მცხოვრებლები, მიტომ რომ რადგანაც უფრო განათლებულია კაცი იმდენათ მომეტებულათ ზრუნავს თავის სიმდიდრეზე.

## ნარევი

ერთი სამკურნალო გაზეთი გვაცნობებს, როგორც მართალს ამბავს, რომ 1848 წ. პერმის გუბერნიის ხოთ. უსოლას. რომლის მახლობლათ მარილს ჩაატარებენ ხოლმე ნიჟნის ქალაქში მიჰქონდათ წყლით მრავალი მარილით დატვირთული ხომალდები და ამდროს ხომალდებზე გაჩნდა საშინელი ხოლერა, ასე რომ ხომალდების უფროსმა არ იცოდა, რაექნა. ბოლოს მოიფიქრა, არც ისე კარგა, ვინც კარგათ არის, იმათ მაინც რომ არ შეეშინდესთ, აიყვანა ხოლერიანები და სადაც რკინები იყო გროვათ დაწყობილი, ყველა იქ დააწვინა. ავათმყოფები იყვნენ ას ოცდა-ათ კაცამდის, ისინი ყველანი რკინებზე დააწვინეს და ჭილოფები გადააფარეს ზედ. იმედი ჰქონდათ დაწმენდილი, რომ იმათში აღარავინ გადარჩება, მაგრამ წარმოიდგინეთ ხომალდის უფროსის გაკვირვება, რომ იმ ხოლერიანებში ერთიც არავინ მომკვდარა.

* * *

ფერ-უმარილი. ერთ სახლში პატარა უმაწვილები წინათ ყველანი ტანმთელათ იყვნენ. შემდეგ ერთი დედაკაცი მიმათ და ქირავეს. ცოტა ხანს შემდეგ უმაწვილებმა დაიწყეს ავათმყოფობა. კითხეს დოქტორს, მაგრამ იმან ვერა შეამცნიარა, გამოიცვალეს მზარეული საჭმელი, ერთი სიტყვით ყველაფერი, რასაც კი შინ ჩვეულებრივ ხმარობდნენ, მაგრამ ვერაფერი გასწყვეს, ბოლოს მამამ გაშინჯა მიმის ოთახი და იქ ნახა ფერ-უმარილი, რომელსაც ყოველ დღე იცხებდა, მერე ჰკოცნიდა პატარა ბავშვებს, ასე რომ პატარა უმაწვილები ცოტაოდენ საწამლავს ყოველ დღე ულაპავდნენ.

## განცხადება

ახალი საშუალება არაყის გამოხდის და ისეთი საარაყე ზავოდების გამართვ რომელნიც მალიან ადვილათ შესაძლებელნ არიან კავკასიის მხარეში და რომელშიაც სპი რტი გამოიხდება ქიშმიშისაგან, პურისაგან ჭაჭისაგან და სხვა და სხვა ხილისაგან.

ამ საშუალებით ერთი ფუთი კარგი ქიშ მიშიდამ გამოიხდება ერთი ვედრა სპი ტი—78 0/0 80 0/0, ანუ ორი ვედრა არა ყი —40 0/0 სიმაგრესი; ერთი ფუთი პური საგან გამოიხდება ნახევარი ვედრა სპი რტი, და ან ერთი ვედრა არაყი. ამ ნაირად გამოხდილი არაყი სამაგალითოა როგორც სიწმინდით, ისე სიმაგრით და სრუ ლებით სიფუხის სუნი არ უდის. სპირტი გამოხ და ზავოდის და გვარათ შეიძლება; თუ ზავოდი ღირს ორი ათას მანეთიდამ ექ ვსი ათასამდინ, მაშინ დღეში ექვსი ვე დრიდამ ოც ვედრამდი შეიძლება სპირტ გამოხადოს კაცმა.

საჭიროთ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ რად გან არაყის გამომხდელი ოსტატობის მოვ მნელია, მე ვკისრულობ ჩემ თავზე, რომ ერთი თვის განმავლობაში შემიძლია გამოუ ცდელი მუშები გავწვრთნა და მოვამზადო ა ხელობაში.

კავკასიის მემამულეების და ღვინის მკეთებ ლების ყურადღებას მივაქცევ სპირტის და არაყის გამოხდის და საარაყო ზავოდის გამარ თვას ამ ახალ საშუალებაზე. უმორჩილესა ვთხოვ იმათ, ვისაც ჩემთან საქმის დაჭერ დასჭირდებათ მიმართონ წიგნით ან პირა კუკიაში, მიხაილოვის ქუჩაზე, ქართველოვი სახლებში, რეალურ გიმნაზიასთან.

ა. შტურმი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Февраля 1871 დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.